საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კალანდაძე ედმონდ (გაბრიელ) ლავროსის ძე

ე. კალანდაძე

კალანდაძე ედმონდ (გაბრიელ) ლავროსის ძე (4. V. 1923, სოფ. ხიდისთავი, ახლანდ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, – 13. VIII. 2014, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. საქართვ. სახ. მხატვარი (1985), შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი (1998), მოსკოვის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა I საერთაშ. ფესტივალის ლაურეატი (1957). დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკ-ტი (1955). II მსოფლიო ომის მონაწილე. სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1950-იდან. 1955–74 პედ. მოღვაწეობას ეწეოდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში. კ. არაერთი საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოფენის მოწყობის ინიციატორია თბილისში. იყო საქართვ. კულტ. მინისტრი (1991). 1998 საქართვ. ეროვნულ გალერეაში, საშობაო გამოფენაზე, კ-ის ფერწერული სურათები („ავტოპორტრეტი", „ლევან დავითაშვილის პორტრეტი", „ფიჭვები და ზღვა", „ჯვაროსნები") გრან-პრით დაჯილდოვდა.

ნამუშევრები: „ნატიურმორტი", „ზურაბ ნიჟარაძის პორტრეტი", „ეთერ ანდრონიკაშვილის პორტრეტი", „კარლ მარქსის ხიდი" (1955, ყველა შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი), „მეტეხი" (1977), „ლტოლვილები" (1978), „თბილისის ხედი" (1985), „დახვრეტა აგურის კედელთან" (1986), „თელეთის ბაზილიკა", „გურია", „სამი გრაცია" (ყველა 1998); გრაფიკული პორტრეტები: „შოთა რუსთაველი", „ბებია", „მეუღლე"; გრაფიკული პეიზაჟები, კომპოზიციები (1999) და სხვ. გამოფენები: საბჭ. მხატვართა I ყრილობისადმი მიძღვნილი გამოფენა (1957, მოსკოვი), ქართვ. მხატვრების გამოფენა (1958, რიგა), ქართვ. - მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა (1988, მოსკოვი), ქართვ. მხატვართა გამოფენა (1988, ვენა); ქ. და ც. კალანდაძეების გამოფენა (1995, თბილისი) და სხვ. პერსონალური გამოფენები: ლუქსემბურგი (1991), სურათების ეროვნ. გალერეა (1995), შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნ. მუზეუმი (1998, 2011), გალერეა „ჰობი" (2002, 2008, თბილისი) და სხვ., კ-ის ნამუშევრები დაცულია: შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების

კალანდაძე,
"ღრუბლები", 2006.

მუზეუმში, დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, ბათუმის ხელოვნების მუზეუმში, საქართვ. საპატრიარქოში, ტრეტიაკოვის სახელმწ. გალერეაში (მოსკოვი), მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, კერძო კოლექციებში და სხვ.

ქართ. სახვითი ხელოვნების განვითარების ახალი ეტაპის ფორმირების პროცესში კ-ის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ნ. შერვაშიძე